

ლექცია 4.

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება, როგორც ბილინგვური განათლების ნაწილი; CLIL-ის ხედვის ჩამოყალიბება

უმრავლესობის ენებზე ბილინგვური განათლება გულისხმობს უმრავლესობის ორი ან მეტი ენის გამოყენებას სწავლების პროცესში. ამ სკოლების მიზანი ბილინგვიზმი ან მულტილინგვიზმია, ორმაგი წიგნიერება და კულტურული პლურალიზმია (მეხია, 2002). მსგავსი ტიპის სკოლები ისეთ საზოგადოებებშია გავრცელებული, რომლებიც უკვე ბილინგვალი ან მულტილინგვალია (სინგაპური, ლუქსემბურგი). უმრავლესობის ენებზე ბილინგვური განათლების მაგალითები მრავლად გვხვდება აზიის ქვეყნებში: აქ სწავლების ენებად გამოიყენება არაბულ-ინგლისური, ბაჰასა მალაური-ინგლისური, ჩინურ-ინგლისური და იაპონურ-ინგლისური. აფრიკასა და ინდოეთშიც მრავლად არის სკოლები, სადაც სწავლების ენად ერთდროულად რეგიონული და საერთაშორისო ენები გამოიყენება. ამ სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას ენობრივი უმრავლესობის მოსწავლეები შეადგენენ გარკვეული ვარიაციებით.

აზიური ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მეორე ენის შემოტანა ხდება საერთაშორისო გავლენიდან გამომდინარე და ეს მეორე ენა ძირითადად ინგლისურია. მაგალითად, ბრუნეიში ორენოვანი სკოლები ფუნქციონირებს, სადაც სწავლების ენა არის ბაჰასას მალაური და ინგლისური (ჯონსი და მისი კოლეგები, 1993, 1997; ბერდსმო, 1999). ნიგერიაში ბილინგვური სკოლები ძირითადად გვხვდება საშუალო სკოლის ზედა საფეხურზე, სადაც სწავლების ენა ინგლისურთან ერთად არის ნიგერიაში არსებული ერთ-ერთი ეროვნული ენა: ჰაუსა, იბო ან იორუბა (აფოლაიანი, 1995). სინგაპურში ინგლისურთან ერთად ფუნქციონირებს ოთხი სახელმწიფო ენიდან ერთ-ერთი (პაკირი, 1994). გერმანიაში, გერმანულთან ერთად, სწავლება მიმდინარეობს ფრანგულად, ინგლისურად, ან ჰოლანდიურად (მეში, 1994). ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში სასწავლო საგნების მეორე ენაზე სწავლების პროცესს შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება ეწოდება (იხილეთ <http://www.clilcompendium.com/>).

დავისონმა და უილიამსმა (2001) გამოყვეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს მეორე ენაზე საგნების სწავლების პროცესს: (1) შინაარსისა და ენის ინტეგრირებით ენის დაუფლება უფრო სწრაფად ხდება; (2) შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების გზით მოსწავლე ეუფლება აკადემიურ და არა საკომუნიკაციო ენას; (3) ინტეგრირებული

სწავლება ეფექტიანია, რადგან ისწავლება ენაც და ისწავლება საგანიც ერთდროულად; (4) ინტეგრირებული სწავლებისას კომუნიკაცია არის გააზრებული და ბუნებრივი, შესაბამისად ენა გამოიყენება აკადემიური მიღწევებისთვის და საგნის ასათვისებლად.

ენისა და შინაარსის ინტეგრირებულ სწავლებას ამყარებს კონსტრუქტივიზმის თეორიაც, რომლის მიხედვითაც, სწავლა არ გულისხმობს, მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემას. კონსტრუქტივიზმის თეორიის შესაბამისად, ენის გრამატიკა და ლექსიკა იზოლირებულად არ ისწავლება, ხოლო შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება ხელს უწყობს, რომ ენის ათვისება მოხდეს ბუნებრივ გარემოში.

**კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების
საფუძვლები (2006), სამოქალაქო ინტეგრაციისა და
ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის
ქართული თარგმანი; 2010, თავი 11**

* * *

დიდი ხანია ვიცით, რომ ენებისა და სხვა საგნების ერთმანეთისაგან განცალკევებულად, იზოლირებულად სწავლებას არ მოაქვს ოპტიმალური შედეგები. ენისა და საგნის მასწავლებლებმა უკვე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ ახალ ეპოქაში სწავლების გამოსაცოცხლებლად, როგორც საგნის შიგნით, ისე საგანთა შორისაც კი. CLIL გაძლევთ შანსს, გადადგათ კიდევ ერთი ნაბიჯი წინ. ის აერთიანებს საგნობრივ შინაარსსა და ენას და ახალისებს დამოუკიდებელ და კოოპერაციულ სწავლას, რის პარალელურადაც იგი აგებს საერთო მიზანსა და ამოცანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარებისათვის. ეს ქმნის მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას ენის სწავლისათვის.

გაერთიანების იდეის მოძიება ამ სამყაროში ყველგანაა შესაძლებელი. ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორები ახდენს ტექნოლოგიების ინტეგრაციას სოციალური მოთხოვნების საპასუხოდ. ტელეფონებს, ინტერნეტთან წვდომასთან ერთად, ახლა ფოტოგრაფიის, ნავიგაციისა და სხვა მრავალი ფუნქცია აქვთ შეთავსებული. თუმცა, ისინი კვლავ ინარჩუნებენ თავდაპირველ დანიშნულებას, რისთვისაც ისინი შეიქმნენ.

* * *

CLIL არის ორმაგად ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომა, რომელშიც მეორე ენა გამოიყენება როგორც საგნობრივი შინაარსის, ისე ენის სწავლებისათვის. მაგალითად, CLIL-ის

გამოყენებით მალაიზიელი ბავშები მათემატიკასა და „მეცნიერებებს“ (საბუნებისმეტყველო საგნებს) სწავლობდნენ ინგლისურად. CLIL გამოიყენებოდა ნორვეგიელი სტუდენტებისათვის, რათა დრამატურგია შეესწავლათ გერმანულად, იტალიელი სტუდენტებისათვის - მეცნიერებების ფრანგულად შესასწავლად, იაპონელი სტუდენტებისათვის, რათა მათ გეოგრაფია ინგლისურად ესწავლათ და ავსტრალიელებისთვის - მათემატიკის ჩინურად შესასწავლად. საგნებისა და ენების კომბინაცია თითქმის უსასრულოა.

1990-ანი წლების შუა პერიოდში გლობალიზაცია უფრო და უფრო მაღალ ლინგვისტურ მოთხოვნებს უყენებდა მეინსტრიმულ განათლებას, საწყისი დონიდან უმაღლესი განათლების ინსტიტუციების ჩათვლით. დღესდღეობით ევროპაში დიდია იმის სურვილი, რომ გააუმჯობესონ ენის სწავლების საშუალებები ახალგაზრდებისათვის, რათა გაიზარდოს ევროპის ერთობა და კონკურენტ-უნარიანობა. აზიაში ჩინეთის ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდის შედეგად, იზრდება ისეთი lingua franca ენების გაუმჯობესების ინტერესი, როგორებიცაა მანდარინი და ინგლისური. ამ ენებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა რამდენიმე აზიური ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო დღესდღეობით აქამდე არნახული გზებითაა ურთიერთდაკავშირებული. ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინფორმაციისა და ცოდნის მიმოცვლას. ეს, თავის მხრივ, ეხმარება მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციასა და ცვლილებებს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. მსოფლიო სწრაფად ხდება შერეული გლობალური სოფელი. მობილობა, ფიზიკური იქნება იგი თუ ვირტუალური, მუდმივად ზრდად რეალობად იქცევა, რაც გავლენას ახდენს ენებზე. გლობალურ საზოგადოებაში ცხოვრების რეალობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ ვასწავლით. ეს ეხება როგორც ენობრივ განათლებას, ისე სხვა ნებისმიერი საგნის სწავლებას.

ინტეგრირებულ მსოფლიოში ინტეგრირებულ სწავლებას უფრო და უფრო ხშირად უყურებენ, როგორც განათლების გადაცემის თანამედროვე მეთოდს, შექმნილს იმ მიზნით, რომ უკეთ გადასცენ შემსწავლელს გლობალური ეპოქისთვის შესაფერისი ცოდნა და უნარები. უფრო მეტიც, თაობა Y (1982-დან 2001 წლამდე დაბადებულები) ორიენტირებულია სწავლის დაუყოვნებელ შედეგზე: „ისწავლე გამოყენებისას, გამოიყენე სწავლისას“ და არა „ისწავლე ახლა, გამოიყენე მოგვიანებით“. კიბერეპოქაში დაბადებულებზე (2001 წლის მერე) კი მათი პირადი,

ახალგაზრდობაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება, ინტეგრირებული ტექნოლოგიებთან, კიდევ უფრო დიდ გავლენას მოახდენს. სწორედ ეს თაობაა ამჟამად მთელი მსოფლიოს საკლასო ოთახებში, ხოლო CLIL არის ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდოლოგია, რომელიც ამ ახალი ეპოქის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა.

CLIL არის ენისა და საგნის სწავლებისა და სწავლის ინსტრუმენტი. მისი მთავარი არსი არის ინტეგრაცია. ეს ინტეგრაცია ორმაგად ორიენტირებულია:

1. ენის სწავლება შედის საგნობრივ გაკვეთილებზე (მაგალითად: მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, პროგრამირება, მეცნიერებები, სამოქალაქო განათლება და ა.შ.). ეს გულისხმობს ინფორმაციის იმგვარად „გადაფუთვას“, რომ ხელი შეეწყოს გაგებას. გრაფიკები, დიაგრამები, ნახატები, პრაქტიკული ექსპერიმენტები და საკვანძო კონცეპტებისა და ტერმინოლოგიის მონახაზების გაკეთება CLIL-ის გავრცელებული სტრატეგიებია.
2. საგნობრივი შინაარსი გამოიყენება ენის სწავლების კლასებში. ენის მასწავლებელი თანამშრომლობს ყველა სხვა საგნის მასწავლებელთან და აერთიანებს ლექსიკურ მარაგს, ტერმინოლოგიასა და ტექსტებს ამ საგნებიდან საკუთარ კლასებში. მოსწავლეები სწავლობენ ენისა და დისკურსის პატერნებს, რომლებიც მათ სჭირდებათ შინაარსის გასაგებად.

მოსწავლის სურვილი, გაიგოს და გამოიყენოს საგნობრივი შინაარსი, არის მისთვის ენის შესწავლის მოტივაცია. თვით ენის გაკვეთილებზეც მოსწავლეები უფრო მეტს სწავლობენ, როდესაც მათი მიზანი ის კი არაა, უბრალოდ ენა შეისწავლონ, არამედ, როდესაც ისინი ენას კონკრეტული დავალებების შესასრულებლად და ახალი შინაარსის შესასწავლად იყენებენ. ენის მასწავლებელი მეტ დროს ხარჯავს მოსწავლის ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვიდრე საგნის მასწავლებელი. თუმცა, CLIL-ის კონტექსტში ახალი გზების გამონახვა, რომელთა საშუალებითაც ენის გაკვეთილებზე საგნობრივი შინაარსის შერწყმა მოხდება, ასევე, გააუმჯობესებს ენის შესწავლას. ამგვარად, CLIL-ში საგნობრივ მიზნებს ხელს უწყობს ენის მიზნები.

საგნობრივ შინაარსსა და ენაზე ფოკუსირების გარდა, თამაშში მესამე ელემენტიც ერთვება. სწავლის უნარების შემუშავება ეხმარება საგნობრივი შინაარსისა და ენის სასწავლო მიზნების მიღწევას. სწავლის უნარების განვითარება CLIL ტრიადის მესამე ელემენტია.

პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი,

სასწავლო საგნის შინაარსისა და ენის ათვისების ინტეგრირება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც მასწავლებელმა უნდა შეასრულოს, რათა თავისი საგნის ლატვიურად სწავლებაზე წარ-მატებულად გადასვლა შეძლოს. ეს, ერთი მხრივ, თავის-თავად გასაგები და, ამავდროულად, ძალიან რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად არის შესაძლებელი. აქ იგულისხმება როგორც ლატვიური ენის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლებს შორის, ასევე სხვა სასწავლო საგნების მასწავლებლებს შორის თანამშრომლობაც.

ბილინგვური განათლების წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის მოსაზრება, რომ მოსწავლეები სასწავლო საგანს ვერ ითვისებენ ლატვი-ური ენის შეზღუდული ცოდნის გამო. მათ სასწავლო საგანი უნდა აითვისონ ენაზე, რომელიც ჯერ კიდევ ათვისების სტადიაშია მათთვის.

მართლაც, თეორიულ ლიტერატურაში აღწერილი კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიური და რთული ენის გამოყენება სასწავლო საგნის ათვისების დროს გად-აულახავ სირთულეებს უქმნის იმ მოსწავლეებს, რომელთაც სწავლების ენის მწირი ცოდნა აქვთ. ასევე არ შეიძლება სასწავლო საგნის შინაარსის შესწავლის გად-ადება _ ეს იწვევს ჩამორჩენას სწავლაში ტოლებთან შედარებით და სწავლის სურვილს უკარგავს მოსწავლეს.

მასალის სწავლის გადადება ასევე არ შეიძლება, იმიტომ, რომ არსებობს სასწავლო საგნების სტანდარტები და პროგრამები, რომლებიც მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთაც ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებლებმა, რომლებიც თავიანთი საგნის სწავლებისას მეორე ენაზე გადადიან ბილინგვური სწავლების პროცესში:

- მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ფსიქოლოგიური პრობლემები უნდა გადალახონ.
- უნდა ისწავლონ სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურის შერჩევა და გამოყენება.
- უნდა დაიგეგმოს, თუ როგორ შეიძლება გაკვეთილის დროის ეფექტურად გამოყენება და უნდა აირჩეს სწავლების შესაბამისი მეთოდები.
- აუცილებელია მშობლებთან თანამშრომ-ლობა. მშობლები უნდა დაარწმუნდნენ, რომ მათს მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშ-ვნელობა აქვს.

მეორე ენის ყოველმხრივი ათვისების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მეთოდთაგანი არის სხვა საგნის შინაარსის სწავლება მეორე ენაზე, იმ სტრატეგიისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მასალას გასაგებს ხდის სხვა ენის მომხმარებლისთვის. კვლევების შედეგები ადასტურებს, რომ იმ კლასებში, რომლებშიც სწავლებისას ეს ხერხები გამოიყენება, მოსწავლეები კარგად ითვისებენ მეორე ენას და, პარალელურად, ასევე კარგად ეუფლებიან სასწავლო საგნის მასალასაც. ასევე, დამტკიცებულია, რომ მეორე ენის ათვისება წარმატებულად მიმდინარეობს, როცა იგი სწავლების საშუალებად გამოიყენება და არ არის მხოლოდ სწავლების საგანი. ბილინგვური განათლების სწორედ ასეთი გააზრებაა მიღებული ლატვიაშიც.

სწავლების ენისა და სასწავლო საგნობრივი შინაარსის დაუფლების ინტეგრირების წარმატება დამოკიდებულია სწავლების პროცესში მასწავლებლის თანამშრომლობის უნარზე მოსწავლესთან. ენისა და სასწავლო საგნობრივი შინაარსის ინტეგრირება ნიშნავს მასალის ენის გაკვეთილებში ჩართვას, ასევე, მარტივად აღსაქმელი ენისა და მასალის გამოყენება სხვა სასწავლო საგნების გაკვეთილებზე. ინტეგრირებული მიდგომა აგებს ხიდს მეორე ენის გაკვეთილებსა და სასწავლო საგნების გაკვეთილებს შორის. ამ მიდგომის გამოყენების შედეგად ორი დადებითი შედეგი მიიღწევა: მეორე ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასალის (საგნობრივი შინაარსის) ათვისება.

მეორე ენისა და სხვა სასწავლო საგნის მასალის ათვისების პროცესის ინტეგრირება შესაძლებელია ენის სწავლების გაკვეთილების სხვა სასწავლო საგნის მა-სალაზე დაყრდნობით შედგენისას, სხვა საგნის გაკვეთილების ორგანიზებისას მეორე ენის გაკვეთილების შესაბამისი მასალის გამოყენებით. სასწავლო საგნის გაკვეთილზე მასწავლებელი სასწავლო მასალას მოსწავლის შემეცნების დონის შესაბამისად ასწავლის, ხოლო მოსწავლის ენის ცოდნის დონის შესაბამისად ირჩევს საკომუნიკაციო აქტივობებს. ენის გაკვეთილებზე მასწავლებელი ენის სწავლების ინტეგრირებას ახდენს სხვა საგნის მასალასთან. ენა იქცევა მასალის ათვისების საშუალებად და არა სწავლების საგნად.

ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრი-რებული მიდგომა. ეს მიდგომა რამდენიმე სასა-ფუძვლო დავალებას შეიცავს, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც მეორე ენის პედაგოგს, ასევე სხვა საგნების მასწავლებლებსაც. ესენია:

- ✓ მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებლებ-ის გამოყენება. რათა მეორე ენის მასალა შემლებისდაგვარად მარტივად აღსაქმელი გახდეს, მასწავლებელმა ინფორ-მაცია შემეცნების მრავალფეროვანი მა-სალის გამოყენებით უნდა მიაწოდოს მოს-წავლეებს: რეალური საგნების, ცხრილების, გამოსახულებების, დიაგრამების, ასევე

დემონსტრირების გამოყენებით, წინასწარ წაკითხვისა და წერის სტრატეგიების გამოყენებით. არსებობს LVAVP-ის მიერ გამო-ცემული პლაკატები გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ლატვიის ისტორიის გაკვეთილებისთვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალის შინაარსის ახსნაში ეხმარება მასწავლებელს.

- ✓ მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება. სწავლების ცენტრში უნდა იყოს მოსწავლე, მისი ინტერესები და საჭიროებები. მოსწავლე არის აქტიური ობიექტი, მასწავლებლის დავალებაა - მოსწავლეების თანამშრომლობასა და თითოეული მოსწავლის ცოდნის მიღების პროცესში აქტიურ ჩართვას შეუწყოს ხელი. მასწავლებელმა სამუშაო ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლის ანალიზის უნარი განვითარდეს, რაც ასათვისებელი მასალის შემდგომში გამოყენებისთვის არის აუცილებელი.

სტრატეგია და ხერხები. ეს შენიშვნები, სტრატეგიები და ხერხები გათვალისწინებულია დაწყებითი კლასებისა და საშუალო სკოლის მეორე ენისა და სხვა საგნების მასწავლებლებისთვის, რომელთაც თავიანთ გაკვეთილებზე ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება სურთ. ამ რჩევათაგან უმრავლესობა მასწავლებლებისთვის უკვე ცნობილია. მათი აქ ჩამოთვლა მაინც უპრიანია, რათა ინტეგრირებული მიდგომის სწავლების პროცესთან მათი კავშირი ნათელი გახდეს. ჩამონათვალი არ არის სრული, იგი იმ აქტივობებს ასახავს, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მეორე ენისა და სხვა საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდის გამოყენების საწყის ეტაპზე. ასევე, პედაგოგებმა შეიძლება დაასკვნან, რომ მეთოდები, რომელთაც ისინი უკვე იყენებენ, შესაძლოა გამოსადეგი იყოს ინტეგრირებული სწავლების პროცესშიც.

ილვა იევიņa, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე - კრებულიდან: „ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009); გვ 79-82.